განკარგულება:**g-49. 49240805**
თარიღი:**20/03/2024**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-სათვის 104 (ასოთხი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 61880 (სამოცდაერთი ათას რვაას ოთხმოცი) ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 18 მარტის N48-4824078221 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-სათვის 104 (ასოთხი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 61880 (სამოცდაერთი ათას რვაას ოთხმოცი) ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრს“ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს 104 (ასოთხი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი, რომელთა ღირებულება შეადგენს 61880 (სამოცდაერთი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი